საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№11 პერიოდული გამოცემა 2014 წ. დეკემბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

დეკემბერში ადამიანის უფლებათა დღე აღვნიშნეთ. ჩემთვის ეს დღე ორმაგად ძვირფასია; 2 წლის წინ, სწორედ 10 დეკემბერს შევუდექი სახალხო დამცველის უფლებამოსილების განხორციელებას.

2 წლის წინ ვსაუბრობდით ადამიანის უფლებათა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შექმნაზე, დღეს ეს უკვე რეალობაა. რეალობაა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, რეალობაა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება, შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირება, სტამბულის პროტოკოლის ხელმოწერა, ცვლილებები არაერთ კანონში, რომელმაც უნდა აამაღლოს ადამიანის უფლებათა სტანდარტები. გარემო შეცვლილია და ამაზე თითქმის ყველა თანხმდება, მაგრამ... ამავე დროს, არსებობს სხვა რეალობაც: ქალთა მკვლელობების საგანგაშო ტენდენცია; შეუწყნარებლობის აქტიური გამოვლენა და რიგ შემთხვევებში დაგვიანებული ან არაადეკვატური რეაქციები ხელისუფლების მხრიდან; საზოგადოებაში არსებული ძალადობისა და აგრესიის რეალობა. ამიტომ, დღეს, ჩვენი პასუხისმგებლობა არის ამ რეალობის შეცვლა.

10 დეკემბერი არის მინიშნება, რომ ადამიანის უფლებები ყველაფერზე მაღლა დგას და თითოეული ადამიანის უფლების და თავისუფლების გარეშე არ არსებობს არც უსაფრთხოება, რომ სწორედ ადამიანია უმაღლესი ღირებულება და ყოველდღე უნდა ვიყოთ უკომპრომისონი შეუწყნარებლობის, ძალადობის, ქსენოფობიის, დევნისა და დისკრიმინაციის გამოვლინებებისადმი.

როცა არ გვინდა მოვუსმინოთ უფლებაშელახული ადამიანის ხმას და ვაგრძელებთ ცხოვრებას თითქოს არაფერი ხდება, თითქოს ყველაფერი წესრიგშია, სწორედ მაშინ, ვუყრით საფუძველს და ისევ იმ სისტემას ვაძლიერებთ, რომელსაც თითქოს ვშორდებით და რომელსაც დღეს სიტყვიერად ყველა ვემიჯნებით.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 5
4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 6
5. გასული თვის მოვლენები 9
6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა 15
7. წარმატებული საქმეები 17
8. შეხვედრები და სხვა სიახლეები 18
9. ღირსშესანიშნავი თარიღები 21
10. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 22
11. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 23
12. კონტაქტი 23

მეც სხვებივით იმედით შევყურებ ახალ წელს და ვუსურვებ მთელს ჩვენს ქვეყანას, რომ 2015 წლის 10 დეკემბერს უფრო სამართლიანი, უფრო ჰუმანური, უფრო ტოლერანტული, უფრო გულისხმიერი, სულ სხვა რეალობა გვქონდეს. ესაა გამოწვევა თითოეული ჩვენგანისთვის, თითოეულმა ჩვენგანმა, სახელმწიფო, საჯარო თუ კერძო ასპარეზზე, ჩვენი საქმიანობით, ჩვენი ცხოვრების წესით, უნდა შევძლოთ ამ გამოწვევებზე ღირსეული პასუხის გაცემა.

აქვე დავამატებდი, რომ დეკემბერი ჩვენი ოფისისთვის უკიდურესად დაძაბული აღმოჩნდა. მომზადდა 10 დეკემბრის ანგარიში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ, რომელიც 2014 წელს მიმოიხილავს; გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში 2012 წლის 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ; პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიშები სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებში არსებული მდგომარეობის შესახებ; ასევე, სხვა არაერთი ანგარიში, რეკომენდაცია, პრეზენტაცია და შეხვედრა გავმართეთ, რომელთა შესახებ ჩვენს დეკემბრის საინფორმაციო ბიულეტენში შეიტყობთ.

2. მთავარი მოვლენა

2.1. სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ ანგარიში

1 დეკემბერს სახალხო დამცველმა წარმოადგინა საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში, რომელშიც 2012 წლის 28—29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის დროს განვითარებული მოვლენებია დოკუმენტირებული.

სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია

ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივმა საბჭომ გამოკვეთა საკითხები, რაზეც საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა პასუხი უნდა გასცენ. საზოგადოებრივი საბჭოს აზრით, ამ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აუცილებელია, როგორც სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის.

საქართველოს შს სამინისტროს მიერ წარმოებულ გამოძიებაში დღემდე არაერთი ხარვეზია. საქმეზე ეფექტიანი, ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მიზნით კვლავ აუცილებელია დაიწყოს გამოძიება სამართალდამცავთა მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მართლზომიერების და პროპორციულობის შესასწავლად; გამოძიებული უნდა იყოს სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების გარემოებები; გამოძიება წარიმართოს საქართველოს პროკურატურის მიერ. გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს მიენიჭოთ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი და უზრუნველყოფილი იყოს გამოძიების პროცესში მათი ეფექტური მონაწილეობა.

საზოგადოებრივი საბჭოს აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავარი პროკურატურისგან მოითხოვოს შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა: რა საფუძვლით აწარმოებს გამოძიებას საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი და რატომ არ ხდება საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქმის ამოღება საქართველოს შს სამინისტროს ქვემდებარეობიდან; რა ეტაპზეა გამოძიება და რატომ ჭიანურდება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება; რატომ არ ენიჭებათ სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს დაზარალებულის სტატუსი და რატომ არ მიეწოდებათ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ამასთან, გარდაცვლილ პირთა ოჯახის წევრებისათვის უცნობია ექსჰუმაციის შედეგად სასამართლო—სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები.

2.2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე - 2014

10 დეკემბერს ცივილიზებული სამყარო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს 1948 წლიდან აღნიშნავს. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გადაწყვეტილებით, წელს 10 დეკემბრის მთავარი გზავნილია „ადამიანის უფლებები 365 დღე“. გზავნილის იდეაა, რომ თითოეული დღე ადამიანის უფლებათა დღეა, ადამიანის უფლებები გვეკუთვნის ყველას, ყველგან და ყოველთვის, მიუხედავად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკის თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

ამ დღეს საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენიმე ღონისძიება გამართა:

დილით დიპლომატიურ კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს **2014 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში** წარუდგინა, რომელშიც მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მნიშვნელოვანი მიღწევები და პრობლემები იყო ასახული. ღონისძიებას ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანუშ ჰერმანი უძღვებოდა.

2014 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია

პრეზენტაციაზე უჩა ნანუაშვილმა დადებითად შეაფასა საქართველოს პარლამენტის მიერ „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის ანგარიშში შესული რეკომენდაციების დიდი ნაწილის გაზიარება; ისაუბრა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა (2014—2020 წლების) და შესაბამისი სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. მიმოიხილა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ინსტიტუციური რეფორმა.

გამოკვეთილ უარყოფით ტენდენციებს შორის საგანგაშო იყო ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები და სიმძაფრე; რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობრივი ინციდენტების მიმართ ხელისუფლების არაადეკვატური რეაგირება; არასათანადო მოპყრობის შემთხვევები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და დაკავებებისას.

მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთგზის მოწოდებისა, მთავრობას დღემდე არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები შრომის ინსპექციის შესაქმნელად; გასატარებელია საჯარო სამსახურის რეფორმა, ვინაიდან, ხშირია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ძირითადი პრინციპების უგულებელყოფა. აქვე აღნიშნა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, რამდენიმე ასეულობით საჯარო მოხელის საკუთარი განცხადების საფუძველზე საეჭვო გათავისუფლება.

სამუშაო ადგილების არარსებობა, მწირი შემოსავალი, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის სისტემების გაუმართაობა და სხვა მრავალი პრობლემა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მაღალმთიანი რეგიონების სიცოცხლისუნარიანობას. სასწრაფოდ შესამუშავებელია სპეციალური ე.წ. მთის კანონი.

ლეგიტიმური კითხვები რჩება პროკურატურის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ეჭვებს კიდევ უფრო ამყარებს სტრუქტურის ჩაკეტილობა, რაც ე.წ. „კაბელების საქმემაც“ თვალსაჩინო გახადა. ასევე უცნობია არაერთი გახმაურებული საქმის გამოძიების შედეგები, მათ შორის, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის თავისუფლების სავარაუდოდ უკანონო აღკვეთის, ივანე მერაბიშვილის მიმართ სავარაუდოდ უკანონო ქმედებების, დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტებზე, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“. არაფერი შეცვლილა ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების შესახებ მიმდინარე ოფიციალურ გამოძიებაში.

არ დაძრულა სამართლებრივი მექანიზმის შექმნის საკითხი, რომელიც დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემდა; ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების გამოძიების არაეფექტიანობას, დაუსჯელობასთან ბრძოლის პრობლემასა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის დახურულ დაწესებულებებში ფოტო და ვიდეო გადაღების უფლების, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზე წვდომის მინიჭებისათვის საკანონმდებლო ცვლილების საკითხი.

ანგარიში მოკლედ არის მიმოხილული ბავშვთა, შშმ პირთა, დევნილთა, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა, ასევე კონფლიქტებით დაზარალებულ პირთა უფლებები და სხვა ტენდეციები და თემები, რომლებიც შესწავლის ეტაპზეა და რომლებსაც ყურადღება დაეთმობა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში.

დამსწრე საზოგადოება დაინტერესდა ანგარიშში ასახული პრობლემების მოგვარებისათვის ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის ჩართულობით, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების ხარისხით, სახალხო დამცველის ხედვით დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნისა და ამოქმედების შესახებ.

სახალხო დამცველმა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების, თანასწორობის

კულტურის, ევროპული დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლებისათვის, ფართო საგანმანათლებლო კამპანიის შემუშავება—განხორციელების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

შუადღისას საქართველოს სახალხო დამცველმა დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, თბილისში რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე **საინფორმაციო კამპანია გამართა.** კამპანიის ფარგლებში მოსახლეობას დაურიგდა სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ამსახველი ბუკლეტები და ფლაერები.

შეხვედრა მოსახლეობასთან თბილისში, რუსთაველის და ავლაბრის მეტროს სადგურებთან

საინფორმაციო აქცია გაიმართა ასევე ავლაბრის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები წარმოადგინა.

შეხვედრა მოსახლეობასთან თბილისში, რუსთაველის და ავლაბრის მეტროს სადგურებთან

საღამოს, სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გამართულ **ოფიციალურ მიღებას საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.**

სიტყვით გამოსვლისას სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა პოზიტიურ ცვლილებებს, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელდა, თუმცა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების, შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირების, სტამბულის პროტოკოლის ხელმოწერის და არაერთი საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად, სახალხო დამცველის განცხადებით კვლავ რჩება პრობლემები რომელიც განსაკუთრებულ რეაგირებას საჭიროებს.

ოფიციალური მიღება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“

საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქვეყნის პირველმა პირმაც. საქართველოს პრეზიდენტმა ადამიანის ზოგად უფლებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ არა მარტო ხელისუფლებამ, არამედ მთელმა საზოგადოებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა შეიქმნას თავისუფალი, ინდივიდის უფლებების დამცველი და ამავდროულად ძლიერი სახელმწიფო.

საქართველოს პრეზიდენტმა სახალხო დამცველს და მის აპარატს მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოსთვის და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში თანადგომა აღუთქვა.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე მიულოცეს ასევე ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანუშ ჰერმანმა და სლოვენიის ყოფილმა პრეზიდენტმა დანილო ტურკიმ. სპეციალური ვიდეო მიმართვა გაავრცელა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარმა ზეიდ რაალ ალ ჰუსეინმა.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. რეკომენდაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს

2 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ყოფილი თანამშრომლის შრომითი უფლებების დარღვევის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა.

იური საროკინი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პედაგოგ რეპეტიტორად მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. 2014 წლის 1 მარტიდან მასთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა.

2013 წლის 12 ივნისის შრომის კოდექსში შეტანილი ძირეული ცვლილებები დასაქმებულის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით სამართლებრივი გარანტიების შემოღებას ითვალისწინებს; მათ შორის სოციალური თანასწორობის პრინციპის ასახვას შრომის კანონმდებლობაში; დასაქმებულის დაცვას დისკრიმინაციისაგან და სხვა. შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა შემცირებულიყო მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, განსაკუთრებით იმ სამუშაოზე, რომელიც თავისი არსით არ შეიძლება იყოს დაკავშირებული რაიმე ვადასთან.

3.2. რეკომენდაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე“ მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემასთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სხვადასხვა საჯარო ინფორმაცია მოითხოვა. სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციას მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილის გაცემაზე უარი უთხრა, ინფორმაციის გაცემის მიზანშეუწონლობის მოტივით, ნაწილი კი არასრულყოფილი სახით მიაწოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მიზანშეუწონლობის მოტივით საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას.

საქმის შესწავლის შედეგად სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილმა პირმა/პირებმა დაარღვია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რითიც შეილახა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ უფლებები.

3.3. რეკომენდაცია განათლების მინისტრს ზედა ვანის საჯარო სკოლის ახალი შენობით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

25 დეკემბერს სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის ახალი შენობით უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ზედა ვანის საჯარო სკოლისთვის გამოყოფილი შენობა სავალალო მდგომარეობაშია და თავისი ინფრასტრუქტურით არ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებებს. მწყობრიდან არის გამოსული სახურავი, კედლები დაფარულია სოკოვანი წანაზარდებით და შეუძლებელია სათანადო წესით მათი დასუფთავება. დაზიანებულია ფანჯრები და არ ხდება საკლასო ოთახების განიავება, ამორტიზირებულია იატაკიც. შენობას არ გააჩნია სასმელი წყლის, სამეურნეო, ხანძარსაწინააღმდეგო და ცხელი წყლის მომარაგების სისტემები, მოუწესრიგებელია სველი წერტილები; შესაბამისად, შეუძლებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაც.

3.4. რეკომენდაცია ქუთაისის მერს სოციალურად დაუცველის თავშესაფრით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

25 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქუთაისის მერს სოციალურად დაუცველი მოქალაქის თავშესაფრით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

თ.ღ. შვილთან ერთად თავს აფარებს საცხოვრებლად გამოუსადეგარ სახლს, რომელიც სხვისი საკუთრებაა და მომავალში მას ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრება. თ.ღ-ს განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა ქუთაისის თვითმართველობას თავშესაფრით დაკმაყოფილების მოთხოვნით თუმცა უშე-

დეგოდ. თ.ღ.—ს ოჯახს დღეის მდგომარეობით შეწყვეტილი აქვს სოციალური დახმარება. შესაბამისად, ოჯახს არანაირი შემოსავლის წყარო არ გააჩნია.

ვინაიდან, თ.ღ-ს ოჯახს დამოუკიდებლად არ შეუძლია უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი მინიმალური პირობები, რაც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, მას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან ესაჭიროება მყისიერი და ეფექტური დახმარება.

3.5. რეკომენდაცია შშმ პირების მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში სოციალური პაკეტის მიღების უფლების თაობაზე

29 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, საყოველთაოდ აღიარებული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების გათვალისწინებით განახორციელოს სათანადო ცვლილებები საკანონმდებლო რეგულაციებში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქეთა განცხადებები, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სოციალურ-ეკონომიკური უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებს. კერძოდ, ამ პირთა მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში სოციალური პაკეტის მიღების უფლების შეწყვეტას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით, რომლის თანახმად, სოციალური პაკეტის მიღების უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა.

მოქმედი რეგულაციებით ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დიფერენცირება, შესაბამისად, დაცვის სფეროს მიღმა რჩებიან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, რომლებიც არიან სოციალური პაკეტის და/ან კომპენსაციის მიმღები.

3.6. რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

30 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 13 თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლასთან და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლის შემდეგ სახალხო დამცველია მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება აღნიშნული პირების მხრიდან იმ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც მოხდა მათი სამსახურიდან გათავისუფლება, გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა საქმის გარემოებების და შესაბამისი მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობის საფუძველს.

შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N16 დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებები თანამშრომელთა დაკავებული თანამდებობებიდან დათხოვნის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და არღვევს მოქალაქეთა შრომით უფლებებს.

4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. წინადადება ბრალდებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით

4 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება ბათუმის №3 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშ-

რომლების მიერ ბრალდებულის მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრაზე ბათუმის №3 დაწესებულების ბრალდებულმა შ.დ—მ, განაცხადა, რომ 2014 წლის ნოემბრის თვეში იგი დაწესებულების თანამშრომლებმა რამდენჯერმე სასტიკად სცემეს, საათობით ხელბორკილებით დატოვეს გონივრული მიღებისა და განთავსების საკანში; ასევე, გათბობისა და ლოგინის გარეშე განათავსეს სამარტოო საკანში.

პროტესტის ნიშნად შ.დ.—მ შიმშილობა გამოაცხადა და თვითდაზიანებები მიიყენა.

4.2. წინადადება N7 დაწესებულებაში პატიმართა მდგომარეობასთან დაკავშირებით

12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს და სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში მოთავსებული რამდენიმე პატიმრისთვის ჯანდაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ღირსების შესაბამისი პირობების შექმნა მოითხოვა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან არაერთი შეხვედრით, ახსნა-განმარტებებითა და დაწესებულებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 დაწესებულების ერთ საკანში განთავსებულმა ოთხმა მსჯავრდებულებმა 28 ნოემბრიდან სხვადასხვა დღეს დაიწყეს შიმშილობა და მიიყენეს მრავლობითი თვითდაზიანება.

მათი განცხადებით, ისინი ამ ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო. ერთ—ერთი პატიმარმა ასევე განაცხადა, რომ მას დაწესებულების თანამშრომლები სთხოვდნენ იმ საჩივრებზე უარის თქმას, რომელიც მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებას ეხებოდა.

საკნის დათვალიერების შედეგად საკანში საცხოვრებლად აუტანელი პირობების არსებობა დადასტურდა. ამასთან, პატიმრებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს შეატყობინეს, რომ 28 ნოემბრიდან 3 დღის განმავლობაში ადმინისტრაციამ მათ საკანში წყალი გადაუკეტა.

4.3. წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს

12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, აწარმოოს გამოძიება სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების მიმართ სავარაუდო არაადამიანურ მოპყრობის ფაქტზე.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების ოთხმა მსჯავრდებულმა შეატყობინა, რომ 12 სექტემბერს მათ დაწესებულების თანამშრომლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. თავის ახსნა—განმარტებებში მსჯავრდებულები დეტალურად აღწერენ მათ მიმართ, დაწესებულების თანამშრომლების მიერ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველომ 15 სექტემბერს დაიწყო გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 118—ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნულ საქმის ობიექტურად და ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია, გამოძიება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აწარმოოს. ამის აუცილებლობაზე დანაშაულის კვალიფიკაციაც მეტყველებს.

4.4. წინადადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

19 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს წინადადებით მიმართა.

სახალხო დამცველი მიესალმა სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ინიციატივას, დარეგულირდეს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის საკითხი. თუმცა, მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ბრძანების პროექტის რიგი დებულებები საჭიროებს სრულყოფას და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

სახალხო დამცველმა ბრძანების პროექტის ხარვეზებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები დეტალურად შეატყობინა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს (ვრცელი ვერსია იხილეთ ბმულზე) და სამუშაო პროცესში აქტიური მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა.

4.5. წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს სისხლის სამართლის საქმის ეფექტიანი გამოძიების წარმოების შესახებ

19 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა შსს სიღნაღის რაიონული სამმართველოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესი წარიმართოს ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი სტანდარტის — სისწრაფის დაცვით.

შსს სიღნაღის რაიონულ სამმართველოში 2008 წლის 12 დეკემბრიდან დღემდე მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მოქალაქეს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს გამოძიება, შეზღუდული აქვს საკუთრებით სარგებლობის/განკარგვის უფლება.

2008 წლიდან დღემდე, ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის ხანგრძლივობა ვერ პასუხობს ეფექტიანი გამოძიების ისეთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს და სტანდარტს, როგორიცაა სახელმწიფოს ვალდებულება - უზრუნველყოს სწრაფი გამოძიების ჩატარება. ამიტომაც, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს მოქალაქის კანონისმიერი უფლებების დარღვევას.

4.6. წინადადება შს მინისტრს მოქალაქეს მიმართ კანონის დარღვევის შესახებ

22 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს სამინისტროს თანამშრომლების წინააღმდეგ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების წინადადებით მიმართა.

მოქალაქე ნ.ქ.-ს განმარტებით, იგი 6 აგვისტოს 16.00 საათზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქუთაისში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის სავარაუდო ეჭვის საფუძველზე დააკავეს, დაადეს ხელბორკილები და ჩასვეს საპატრულო პოლიციის მანქანაში. ნ.ქ.—ს მტკიცებით, დაკავებიდან ნარკოლოგიური გამოკვლევის ჩატარებამდე იგი 6 საათი ხელბორკილით იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის მანქანაში. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოქალაქე ნ.ქ.—ს არ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. იგი ადმინისტრაციული დაკავებიდან 23:15 საათზე გაათავისუფლეს.

დაკავების ოქმის თანახმად, მოქალაქე ნ.ქ.—ს მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია, ასევე არაფერია მითითებული მისი გაქცევის მცდელობის, საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის ზიანის მიყენების თაობაზე. გარდა აღნიშნული გარემოებებისა, ხელბორკილის გამოყენებას „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი დასაშვებად აცხადებს დაკავებულის ბადრაგირებისას, თუმცა ნ.ქ.—ს განცხადებით, ის ხელბორკილებით იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის საექსპერტო—კრიმინალისტიკური სამსახურის შენობის ეზოში მაშინ, როცა მისი ბადრაგირება არ ხორციელდებოდა. შესაბამისად, არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული საფუძველი ნ.ქ.—ს მიმართ 6 საათის განმავლობაში ხელბორკილის გამოყენებისთვის.

4.7. წინადადება მამაკაცებისათვის ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის საკითხის დასარეგულირებლად

23 დეკემბერი. საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, შემუშავდეს შესაბამისი ცვლილებები საჯარო მოსამსახურეებისა და დასაქმებულთათვის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებისა და კომპენსაციის დანიშვნის დაანგარიშებისა და გაცემის საკითხის საქართველოს შრომის კოდექსთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. კერძოდ, აღნიშნული უფლებით მამაკაცების მიერ სარგებლობის საკითხის დასარეგულირებლად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანება გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს მამაკაცებს, ისარგებლონ ანაზღაურებადი შვებულებით ბავშვის მოვლის გამო, მაშინ, როცა საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მიხედვით გარანტირებულია აღნიშნული უფლებით სარგებლობა დასაქმებულთათვის მათი სქესის მიუხედავად.

4.8. წინადადება პოლიციელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით

29 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მოქალაქეს მიმართ პოლიციელების მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

მოქალაქე მ.ქ.—ს განცხადებით, იგი 2014 წლის 1 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს, გადაიყვანეს გლდანის პოლიციის პირველ განყოფილებაში, სა-

დაც სკამზე ხელბორკილებით მიაბეს და ცემეს. შსს თბილისისა და მცხეთა—მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმის და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანებები.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება გლდანი—ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე; თუმცა, იმავე დღეს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილების საფუძველზე საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელიც დღემდე აწარმოებს გამოძიებას.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის იმავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიების წარმოება ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო დამოუკიდებლობის ხარისხს და მიზანშეწონილად მიაჩნია გამოძიება საქართველოს პროკურატურამ აწარმოოს.

4.9. წინადადება საქართველოს მთავრობას მთიანი რეგიონის მოსახლეობის უფლებების დაცვის თაობაზე

23 დეკემბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას სახელმწიფო დონეზე შემუშავდეს სათანადო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და ადამიანის სასიცოცხლოდ აუცილებელი უფლებების დასაცავად; ქვეყნის მთელი ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, მაქსიმალურად მოკლე ვადაში მთავრობამ მიიღოს ზომები ე.წ. „მთის კანონის“ შემუშავების მიზნით.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში არ არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მაღალია უმუშევრობის დონე, მოსახლეობას არ მიეწოდება ბუნებრივი აირი, რაც გარდა საყოფაცხოვრებო დისკომფორტისა, აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას; სანოტარო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობის გამო, გართულებულია სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება; დღემდე ავარიულ მდგომარეობაშია 2009 წლის მიწისძვრით დაზარალებული საცხოვრებელი სახლები; დაბალია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ეს მიზეზები სამწუხაროდ, მაღალმთიანი რაიონებიდან მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას განაპირობებს.

4.1. წინადადება მთავარ პროკურორს გიორგი კლდიაშვილის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის თაობაზე

30 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი კლდიაშვილის წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხის განხილვის წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

ჩხრეკისას გიორგი კლდიაშვილის ავტომანქანიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს, რომელიც მფლობელს შენახვის უფლებით ქონდა რეგისტრირებული. თბილისის საქალაქო სასამართლომ კლდიაშვილი ბრალდებულად ცნო ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, იარაღის შენახვაზე ნებართვის მქონე მოქალაქეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების შენახვის ან გადაზიდვის წესების დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს.

გიორგი კლდიაშვილს ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ნებართვა, თუმცა არ ჰქონდა მისი გადაადგილების დროებითი ნებართვა. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ კლდიაშვილის ქმედებაში არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რაც უნდა გახდეს საქართველოს მთავარი პროკურატურის განხილვის და კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

5. გასული თვის მოვლენები

5.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები: გამოწვევები ეთნიკური უმცირესობებისათვის და ცნობადობის ამაღლება

1 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური უმცირესობების შესახებ ცნობადობის ამაღლების პოპულარიზაცია /ფოკუს ჯგუფის კვლევის შედეგების“ პრეზენტაცია გამართა. ანგარიშში შშმ პირებისა და შშმ ეთნიკური უმცირესობების შესახებ საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობაა ასახული. დოკუმენტში შესულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების თაობაზე ცნობადობის ამაღლების პოპულარიზაციისათვის შემუშავებული და დაბეჭდილი ფლაერები და პოსტერები.

„შშმ ეთნიკური უმცირესობების შესახებ ცნობადობის ამაღლების პოპულარიზაცია /ფოკუს ჯგუფის კვლევის შედეგების“ პრეზენტაცია

ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის მუშაობის ანგარიში, ინფორმაცია ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების თაობაზე და პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.

ღონისძიება საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და გაეროს განვითარების ფონდის მუდმივმა წარმომადგენლმა საქართველოში ნილს სკოტმა გახსნეს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

5.2. საქართველოს სახალხო დამცველი ომბუდსმენების საერთაშორისო ინსტიტუტის წევრია

ომბუდსმენების საერთაშორისო ინსტიტუტის (IOI) გენერალური მდივნის ოფიციალური შეტყობინებით, საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნული ინსტიტუტის წევრი გახდა, ხმის მიცემის უფლებით.

ომბუდსმენთა საერთაშორისო ინსტიტუტის წევრობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობათა შემდგომ გაძლიერებას, საერთაშორისო ასპარეზზე თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე საუკეთესო გამოცდილების დანერგვას ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის მიზნით.

1978 წელს დაარსებული ომბუდსმენთა საერთაშორისო ინსტიტუტი (IOI) 155-მდე ომბუდსმენთა ორგანიზაციას აერთიანებს. ინსტიტუტი ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას რეგიონულ და უნივერსალურ დონეზე სხვადასხვა კონფერენციების, სწავლებებისა და სემინარების ორგანიზების მეშვეობით, ეფექტური საჯარო მმართველობის ჩამოყალიბებასა და წევრ ქვეყნებში დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების განმტკიცებას.

5.3. სახალხო დამცველის განცხადება შშმ ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრმა შეისწავლა თბილისის ერთ—ერთ კერძო სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში შშმ სტატუსის მქონე აღსაზრდელის მიმართ სავარაუდო ძალადობის (ცემის) ფაქტი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება. საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში დაიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა და ჩატარდა ტრასოლოგიური და სასამართლო—სამედიცინო ექსპერტიზები, თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ დაწყებული არ არის. ამასთან, საქმისწარმოების არცერთ ეტაპზე არ მომხდარა ფსიქოლოგის ჩართვა.

2 დეკემბერს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, გონივრულ ვადაში წარმართონ გამოძიება და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამოძიების გაჭიანურება და დადგინდეს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება. ამავდროულად, საქმისწარმოების ყოველ ეტაპზე დაცული უნდა იქნეს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, ძალადობის მსხვერპლის ჭეშმარიტი ინტერესები.

5.4. განცხადება ყოფილი ისნის სამხედრო ჰოსპიტლის შენობის გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით

8 დეკემბერი. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები აკვირდებოდნენ დევნილი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მიერ თბილისში, ყოფილი ისნის სამხედრო ჰოსპიტლის შენობის დატოვების პროცესს. სახალხო დამცველის ინფორმაციით, შენობაში 150-მდე იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი ოჯახები 2012 წლიდან თვითნებურად ცხოვრობენ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, დევნილის სტატუსის მქონე ოჯახებს სთავაზობს დაკავებული ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ, სამი თვით, ქირის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფას.

ხოლო, სამი თვის შემდეგ, შესწავლის შედეგების საფუძველზე, სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას რომელ ოჯახებს გაუგრძელდებათ ქირის თანხის გადახდა. ამ ეტაპზე დევნილი ოჯახების ნაწილი ნებაყოფლობით ტოვებს შენობას.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველი ოჯახებს, თბილისის ისნის რაიონის გამგეობა და თბილისის მერია საბინაო ფონდისა და შესაბამისი ფინანსური სახსრების უქონლობის გამო ვერ ახორციელებს უსახლკარო ოჯახების ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა:

- თბილისის მერიასა და თბილისის ისნის რაიონის გამგეობას, კოორდინირებულად შეისწავლონ ზემოაღნიშნულ შენობაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების უსახლკარობის ფაქტი და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები მათთვის სათანადო დახმარების გაწევის მიზნით;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, გააგრძელოს მოლაპარაკებები იმ დევნილ ოჯახებთან, რომლებიც ამ ეტაპზე უარს აცხადებენ შენობის დატოვებაზე, რათა შენობის გათავისუფლების პროცესი მშვიდობიან და კანონისმიერ ფარგლებში იყოს მოქცეული.

5.5. სახალხო დამცველმა ბავშვთა უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიზნით მონიტორინგი გააძლიერა

8 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით წარმოადგინა ბავშვის უფლებების ცენტრის 2014—2017 წლების სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმისა და ანტიდისკრიმინაციული კანონის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად და ემსახურება ცენტრის გაძლიერებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბავშვის უფლებათა მონიტორინგის და კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერება; ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაძლიერება; ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრა; ბავშვის ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა; ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება; ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება ყველა ბავშვისათვის.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში საშა გრაუმანი, ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში ევა პასტრანა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები.

სახალხო დამცველმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ბავშვის უფლებების ცენტრის 2014-2017 წლების სტრატეგია წარმოადგინა

ღონისძიება ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე წლისთავთან დაკავშირებული აქტივობების ფარგლებში გაიმართა.

5.6. სახალხო დამცველმა ს.ს. „საქართველოს ბანკს“ დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ზოგადი წინადადებით მიმართა

12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს ბანკს“ დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ზოგადი წინადადებით მიმართა.

საქართველოს ბანკმა გაავრცელა რეკლამა, სადაც კაცი გაიგივებულია ბანკომატთან, ხოლო ქალი რეკლამის შინაარსიდან გამომდინარე მატერიალურად დამოკიდებულია კაცზე. სახალხო დამცველმა რეკლამა მიიჩნია სექსისტური ხასიათის მატარებლად, რომელიც ამკვიდრებს გენდერულ სტერეოტიპს, წარმოადგენს დისკრიმინაციის ხელშემწყობ საშუალებას და ამართლებს დისკრიმინაციულ პრაქტიკას.

სახალხო დამცველმა მოუწოდა „საქართველოს ბანკს“, მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი ხასიათის სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება—გავრცელებისგან და სარეკლამო რგოლების მომზადების დროს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორად.

5.7. სახალხო დამცველმა აღსაზრდელის მიერ საპატრიარქოს ბავშვთა სახლის დატოვების ფაქტის შესწავლა დაიწყო

9 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის გიმნაზია—პანსიონი 15 წლის აღსაზრდელმა მიატოვა. ინფორმაციის საფუძველზე, სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის გიმნაზია—პანსიონის ფსიქოლოგს, სასწავლო—სააღმზრდელო პროცესის გამგეს და სხვა თანამშრომლებს; ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებს.

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საქმის შესწავლას და მზადაა, საქმეში მონაწილე აღსაზრდელის ჭეშმარიტი ინტერესების განხორციელების მიზნით, ითანამშრომლოს როგორც საქართველოს საპატრიარქოსთან, ასევე არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან.

5.8. სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო შექმნა

15 დეკემბერი. პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა, რომელის შემადგენლობაში შედიან სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილე, სახალხო დამცველის აპარატის სხვადასხვა დეპარტამენტებისა და ცენტრების ხელმძღვანელები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები: ნინო მახაშვილი, გივი მიქანაძე, მარინა კვაჭაძე, ცირა ჭანტურია, თამარ გვარამაძე და ანა არგანაშვილი.

საკონსულტაციო საბჭოს შექმნის მიზანია წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა. საბჭოს წევრები სახალხო დამცველს წარუდგენენ საკუთარ მოსაზრებებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმის, სამუშაო მეთოდოლოგიის, თემატური კვლევების, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების პროფესიული სწავლების და პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ, ასევე მექანიზმის საქმიანობისათვის მნიშვნელოვან ნებისმიერ სხვა საკითხებზე. საბჭოს მოწვეული წევრები ხელს შეუწყობენ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აკადემიურ წრეებთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაძლიერებაში.

5.9. სახალხო დამცველის განცხადება საყდრისი-ყაჩაღიანში სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით

15 დეკემბერი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროზე“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის კანონიერებისა და საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციის საკითხს.

საკითხის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შექმნას სამუშაო ჯგუფი და უზრუნველყოს პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა.

5.10. სახალხო დამცველმა სოფელ მოხეში მდებარე სადავო შენობასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიაში დამკვირვებლის სტატუსით ჩართვა მოითხოვა

15 დეკემბერი. ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში მდებარე სადავო ნაგებობის საკითხის ყოველმხრივი და ობიექტური განხილვა დიდი საჯარო ინტერესის სფეროს განეკუთვნება და ამ საკითხის შესწავლა თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ტოლერანტობის დაცვის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველი, კონსტიტუციური მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთოს სადავო შენობასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის საქმიანობაში, რაც კომისიისადმი საზოგადოებრივ ნდობას გაზრდის.

სოფელ მოხეში მდებარე შენობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ **2 დეკემბერს** მიიღო.

5.11. სახალხო დამცველმა აპარატის 2014 წლის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა

16 დეკემბერს სახალხო დამცველმა ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა, შეაჯამა დასახული მიზნების განხორციელება, მიღწევები და გამოწვევები.

ანგარიშში შესულია 2014 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით, მოქალაქეთა მომართვიანობის სტატისტიკა, სახ-

ალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები, განხორციელებული საგანმანათლებლო კამპანიები, ახალი ინიციატივები, საკონსტიტუციო სარჩელები და სასამართლო მეგობრის (***Amicus Curiae***) მოსაზრებები, სახალხო დამცველის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებები, სპეციალური ანგარიშები. განხილულია აგრეთვე, სახალხო დამცველის თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებსა და აპარატის შესაძლებლობათა გაძლიერებისათვის მოქმედი პროექტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

საქმიანობის ანგარიში სახალხო დამცველმა საზოგადოებას, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს წარუდგინა.

5.12. განცხადება ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას ხელწერილის არაეფექტურობის შესახებ

ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას ხელწერილის არაეფექტურობის შესახებ სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძეს რამდენჯერმე მიმართა.

9 დეკემბრის წერილში აღწერილი იყო ორი შემთხვევა, როცა ძალადობის მაღალი რისკის მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გამოყენებულ იქნა ხელწერილი და გაფრთხილება.

23 დეკემბერს სახალხო დამცველმა კვლავ მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს და მსხვერპლთა დაცვისა და განმეორებითი ძალადობის პრევენციის მიზნით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის კანონით განსაზღვრული მექანიზმების გამოყენების საკითხის პირად კონტროლზე აყვანა სთხოვა. ასევე მოუწოდა, რომ უფლებამოსილ თანამშრომლებს კიდევ ერთხელ განემარტოთ საკითხის სენსიტიურობა, რათა ყველა ზომა იქნას გამოყენებული საქართველოში არსებული ოჯახში ძალადობის საგანგაშო ტენდენციის შესაჩერებლად.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი რიგი შემთხვევებიდან იკვეთება, რომ ხელწერილის გამოყენება კვლავ გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობისგან დასაცავად არსებული სამართლებრივი მექანიზმები ასეთ ფორმას საერთოდ არ ითვალისწინებს და ის მხოლოდ დამკვიდრებული პრაქტიკის ნაწილია, რომელიც სრულიად არაეფექტურია.

საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა შსს მინისტრის ინფორმირება მომხდარი ფაქტების შესახებ, რათა ის მცირე ხარვეზებიც ყოფილიყო აღმოფხვრილი, რომლებიც ხელს უშლის მსხვერპლთა ეფექტური დაცვის უზრუნველყოფას.

სამწუხაროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გაავრცელა განცხადება, რომ თითქოს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული მიმართვა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ უახლეს მდგომარეობას არ ასახავს; ასევე, არარეალურია მასში დაფიქსირებული მოლოდინები პრობლემის დაძლევის მიმართ. სამინისტრომ სახალხო დამცველს მიწოდებულ შემთხვევებთან დაკავშირებით პასუხი არ გასცა.

30 დეკემბერს სახალხო დამცველმა დამატებით **ოქტომბერ—დეკემბრის პერიოდში მომხდარი 5 ფაქტი** გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელთა შესწავლაც ცხადყოფს ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმების არაეფექტურ გამოყენებას. ასევე, თვალსაჩინოს ხდის პრობლემის არსებობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართულობის საჭიროებას.

5.13. განცხადება მედიასაშუალებებში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენასთან დაკავშირებით

სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა **23 დეკემბერს** ტელეკომპანია „რუსთავი 2—ის“ ეთერში გასული იუმორისტული გადაცემა „კომედი შოუს“ ეგრეთწოდებული ხუმრობის გამო, სადაც ძალადობის მსხვერპლი ქალი დაცინვისა და უსუსურობის ობიექტად იყო წარმოჩენილი.

სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი მედიის უმნიშვნელოვანეს როლს ქალთა ძალადობისგან დაცვისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კონტექსტში. მედიასაშუალებების მთავარ ფუნქციას ამ საკითხში ინფორმაციის გავრცელება და თითოეულ მოქალაქემდე თანასწორუფლებიანობის პრინციპების სწორად მიტანა წარმოადგენს, იმის განმარტება თუ რა არის ძალადობა, სად და რა ფორმით გვხვდება საზოგადოებაში და რა გზები არსებობს ოჯახში ძალადობისგან თავის დასაღწევად.

დაუფიქრებელი ხუმრობისა თუ სიუჟეტის შედეგად ჩვენ მათ გადარჩენის გზების ჩვენების ნაცვლად უიმედობასა და დაუცველობის განცდას ვუღრმავებთ. მსხვერპლებს სჭირდებათ ყოველი ჩვენგანის მხარდაჭერა, რადგან მათ ძალიან რთული და გრძელი გზა აქვთ გასავლელი, ოჯახში ძალადობისგან თავის დასაღწევად.

5.14. „იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ" გაეროს კონვენციის რატიფიცირების პროცესის დაწყების შესახებ

25 დეკემბერი. იძულებითი გაუჩინარების ფენომენი უნივერსალური ხასიათის მატარებელია, რომელიც იწვევს ადამიანის უფლებათა სერიოზულ და უხეშ დარღვევას. 2006 წლის 20 დეკემბრის „იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ" კონვენციისა და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების" თანახმად, იძულებითი გაუჩინარება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულადაა აღიარებული.

2014 წლის 23 ივლისს საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის მიმართ გაკეთებულ დასკვნით შენიშვნებში, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის და მის შემდეგ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა იდენტიფიცირებისა და მათი პასუხისგებაში მიცემის გაჭიანურების გამო. კომიტეტის განცხადებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იძულებით გაუჩინარების, სამოქალაქო მოსახლეობისა და სხვა დაცულ პირთა წინააღმდეგ არაპროპორციული და განურჩეველი თავდასხმის, უკანონო დაკავებების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ქონების განადგურებისა და ჩამორთმევის ფაქტების დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და ეფექტიანად გამოძიება.

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანთა ფართომასშტაბიანი გაუჩინარების ფონზე, ძალზე მნიშვნელოვანია „იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ" კონვენციის რატიფიცირება, რათა საქართველომ, როგორც მონაწილე სახელმწიფომ იძულებითი გაუჩინარების ნებისმიერ ქმედებაზე განახორციელოს თავისი იურისდიქცია, აწარმოოს ეფექტური გამოძიება და უზრუნველყოს მსხვერპლთა უფლებების სათანადოდ დაცვა.

5.15. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან დაკავშირებით

26 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება გაავრცელა, სადაც მედია საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების ფუნქციებთან დაკავშირებით გავრცელებული მცდარი ინფორმაცია უარყო.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის რამდენიმე ყოფილი ექსპერტის განცხადებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები არ სარგებლობენ დახურული ტიპის დაწესებულებაში თავისუფლად შესვლის უფლებით; გაუმჭვირვალეა ვიზიტებისთვის სახალხო დამცველის მიერ ექსპერტების შერჩევის კრიტერიუმები; პრევენციის ეროვნული მექანიზმი აღარ მუშაობს ინდივიდუალურ საქმეებზე და საზოგადოებას არ მიეწოდება ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ექსპერტთა უფლებამოსილების ფარგლები, მათი მანდატი და ქცევის წესები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, სახალხო დამცველის აპარატის დებულებით, „სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის (ექსპერტის) ქცევის კოდექსით" და ექსპერტებსა და სახალხო დამცველს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის თითოეულმა ექსპერტმა დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგისას აღნიშნული ქცევის კოდექსით ხელმძღვანელობა ვალდებულება დოკუმენტზე ხელმოწერით აიღო.

1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ზოგიერთი წევრის მოსაზრება, რომ მათ უნდა ჰქონოდათ დახურული ტიპის დაწესებულებებში მონიტორინგის თავისუფლად, სახალხო დამცველის გარეშე განხორციელების შესაძლებლობა, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული. ამასთანავე, სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის არცერთ წევრს, სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, არ შექმნია მონიტორინგის განსახორციელებლად დახურული ტიპის დაწესებულებაში შესვლის პრობლემა.

2. მონიტორინგისას ზოგიერთი ექსპერტი არ ასრულებდა ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას, ხოლო ზოგიერთი ექსპერტის ანგარიში არასრულყოფილი იყო, რაც აფერხებდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის საქმიანობას. მონიტორინგში მონაწილეობის მისაღებად უფრო ხშირად ხდებოდა იმ ექსპერტთა მოწვევა, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებას. ამასთან, მონიტორინგის ჯგუფების დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იყო ექსპერტის კონკრეტულ დაწესებულებაში მონიტორინგის გამოცდილება და ჯგუფის მულტიდისციპლინური შემადგენლობის უზრუნველყოფა.

3. საქართველოს პარლამენტი უახლოეს მომავალში იმსჯელებს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებაზე, რომლის მთავარი

მიზანი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის დახურული ტიპის დაწესებულებებში ფოტო და ვიდეო გადაღების უფლების მინიჭებით, წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგად წარმოქმნილი დაზიანებების დოკუმენტირების უფრო ეფექტურად განხორციელებაა.

4. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურატურას 2014 წელს 18 წინადადებით მიმართა, რის თაობაზეც საზოგადოება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დროულად იყო ინფორმირებული. შესაბამისად, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული განცხადება, თითქოს საზოგადოებას არ მიეწოდება ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

5.16. სახალხო დამცველის განცხადება უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით

29 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა თბილისში, ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობაში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით და სამძიმარი გამოუცხადა ხანძრის შედეგად გარდაცვლილი 7 წლის ბავშვის ოჯახს.

საქართველოს სახალხო დამცველი განმეორებით მოუწოდებს თბილისის მერიასა და თბილისის ისნის რაიონის გამგეობას, კოორდინირებულად შეისწავლონ თბილისში, ყოფილი ისნის სამხედრო ჰოსპიტალში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების უსახლკარობის ფაქტი და მიიღონ ყველა შესაძლო ზომა მათთვის სათანადო დახმარების, მათ შორის, ადეკვატური თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით.

5.17. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ქობულეთში განთავსებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების შესახებ

30 დეკემბერი. არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა „სოციალური პარტნიორობა“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის გარეშე, ქობულეთში ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება გახსნა.

დაწესებულება არც სკოლა—პანსიონია და არც მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი. შესაბამისად, დაწესებულების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ბავშვთა სახლის გახსნა ეწინააღმდეგება სახელწიფო პოლიტიკას ბავშვზე ზრუნვის სფეროში, რაც გულისხმობს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფას და დიდი ზომის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების გაუქმებას.

6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

6.1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

18 დეკემბერი. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა სასჯელაღსრულების ბათუმის N3 დაწესებულებაში მონიტორინგის შედეგად მრავალი ხარვეზი გამოავლინა. კერძოდ, დაწესებულებაში მოუწესრიგებელია ვენტილაციის და წყლით მომარაგების სისტემა, რიგ საკნებში პატიმრებს არ აქვთ ტელევიზორი და რადიო მიმღები, არ მოქმედებს არცერთი სარეაბილიტაციო პროგრამა და დაწესებულების გახსნის დღიდან დღემდე არც რაიმე სპორტული და კულტურული ღონისძიება გამართულა, დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში გასაყიდი პროდუქციის სიმწირეა. აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს ექმნებათ ოჯახთან და ადვოკატთან კავშირის შენარჩუნების პრობლემა.

ბათუმის N3 დაწესებულებაში აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილი რამდენიმე ბრალდებული სასამართლომდე შორი მანძილის გამო უარს აცხადებდა სასამართლო სხდომაზე დასწრებაზე. მითუმეტეს, რომ ბადრაგის კუთვნილი ზოგიერთი ავტომანქანა მგზავრობისთვის სრულიად არაკომფორტულია.

მონიტორინგმა ასევე დაადგინა, რომ პატიმართა დისციპლინური პასუხისმგებლობის შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებულია სამარტოო საკანში მოთავსება. პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებით სამარტოო საკანში არსებული პირობები ლახავს ადამიანის ღირსებას.

დაწესებულებაში პრობლემებია სამედიცინო მომსახურების მიწოდებასთან, ასევე სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებით. სამედიცინო პერსონალი არ ახორციელებს პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების და დაზიანების წარმოშობის მიზეზების სრულყოფილ დოკუმენტირებას. ხშირ შემთხვევაში დარღვეულია სამედიცინო შემოწმების კონფიდენციალურობა.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებით, ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და ამდენად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უნდა მიიღოს ყველა ზომა ჩამოთვლილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

6.2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის N2 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

19 დეკემბერი. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ N2 დაწესებულებაში არსებობს რიგი პრობლემები, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ დაწესებულებაში მყოფ პატიმართა უფლებრივ მდგომარეობაზე. კერძოდ, დაწესებულება საკმაოდ გადატვირთულია და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. არ ხდება დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება. პრობლემას წარმოადგენს ქალი პატიმრებისთვის პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში დისციპლინური სახდელის სახით გამოიყენება სამარტოო საკანში მოთავსება, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გამოიყენებოდეს.

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში სუიციდის პრევენციისკენ მიმართული აქტივობები არასაკმარისია. პრობლემას წარმოადგენს ასევე ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება. რიგ შემთხვევებში აშკარაა სამედიცინო მომსახურების დაყოვნება და გარკვეული შეფერხებები დაწესებულების მედიკამენტებით მომარაგების თვალსაზრისით. გამოიკვეთა სამედიცინო პერსონალის სიმცირე. პატიმრები არ არიან ინფორმირებული სამედიცინო მომსახურების შესახებ; არ ხდება პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. სარეაბილიტაციო (მათ შორის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის) აქტივობაში პატიმართა ჩართულობა ძალიან დაბალია.

არ ყავთ თარჯიმნები, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია არაქართულენოვან პატიმრებთან გასაუბრება. აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილი პატიმრები სათანადოდ ვერ სარგებლობენ პაემნის უფლებით, რაც განპირობებულია ოჯახის წევრებთან საცხოვრებელი ადგილის სიშორით და მატერიალური მდგომარეობით.

6.3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგუთის N14 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ

22 დეკემბერი. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტის შედეგად N14 დაწესებულებაში უამრავი პრობლემები გამოიკვეთა. დადგინდა, რომ საკმაოდ ხშირია პატიმართა შორის კონფლიქტი; დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ზომები არ არის საკმარისი პატიმართა შორის ძალადობის პრევენციისთვის. ასევე, დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სუიციდის პრევენციის პროგრამა.

არსებობს დისციპლინური სახდელების პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა.

გამოკითხული პატიმრების განმარტებით, სამედიცინო სერვისები ხარვეზებით ხორციელდება; მოუწესრიგებელია სამედიცინო დოკუმენტაცია. ყველა პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი ფართით; გაუმართავია ვენტილაციის სისტემა. ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ეზო მცირე ზომის გამო ვერ უზრუნველყოფს პატიმართა რეკრეაციას.

მისასალმებელია, რომ დაწესებულებაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციით დაიწყო სამზარეულოს სარემონტო სამუშაოები.

6.4. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები

22 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გამართა პრეზენტაცია, რომელზეც სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა, რომელიც მოიცავს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას და ეროვნული უმცირესობების საბჭოს რეკომენდაციებს.

ანგარიში მოიცავს მონიტორინგის შედეგებს 4 მიმართულებით: 1) განათლება და სახელმწიფო ენა; 2) კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება; 3) მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; 4) კანონის უზენაესობა, სოციალური, რეგიონული და პოლიტიკური ინტეგრაცია.

„საბჭოს მონიტორინგის ჯგუფმა 140-ზე მეტი შეხვედრა მოაწყო საქართველოს ქალაქებში, რეგიონებსა და სოფლებში ცენტრალურ და ადგილობრივი ხე-

ლისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან. მონიტორინგის შედეგები დიდად არ განსხვავდება გასული წლებისგან. კვლავ პრობლემად რჩება ეროვნული უმცირესობების ინფორმირების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განათლების ხელმისაწვდომობის და სხვა მრავალი საკითხი", — განაცხადა ღონისძიების გახსნაზე სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ.

საბჭოს წევრებთან ერთად პრეზენტაციები წარმოადგინეს დარგის ექსპერტებმა: დენოლა ჩხარტიშვილმა, კახა გაბუნიამ, ეკა ჭითანავა და ქეთევან მსხილაძემ.

ღონისძიება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში" მხარდაჭერით გაიმართა.

6.5. შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ანგარიშის შედეგები

4—12 დეკემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში" შედეგების/გაცემული რეკომენდაციების შედეგების ანალიზის მიზნით, განმეორებითი მონიტორინგი განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2, №3 და №18 დაწესებულებებსა და შპს „აკადემიკოს ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში".

მონიტორინგი ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

7. წარმატებული საქმეები

7.1. ეკის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება

ბავშვის უფლებების ცენტრმა 2013 წლიდან დაიწყო საქმის წარმოება სენაკის მუნიციპალიტეტის ეკის თემში სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ამოქმედებასთან დაკავშირებით. რამდენჯერმე მიმართა სენაკის რაიონის გამგებელს და ეკის თემის რწმუნებულს.

შედეგად, სენაკის მუნიციპალიტეტმა საბავშვო ბაღში ჩაატარდა 21 670 ლარის ოდენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოიძია თანხები ბავშვთა კვებისათვის, აღმზრდელთა და მომსახურე პერსონალის შტატების დასაკომპლექტებლად, ასევე ინვენტარის შესაძენად.

2 დეკემბერს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო და აღსაზრდელები მიიღო.

7.2. სახალხო დამცველის წარმომადგენელთა ჩარევის შედეგად, დევნილთა ოჯახმა ბინის დაქირავება შესძლო

3–5 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები აქტიურად აკვირდებოდნენ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩის №60-ში (წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკური საავადმყოფო) მდებარე შენობიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და სოციალურად დაუცველი 17 ოჯახის გამოსახლების პროცესს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილის სტატუსის მქონე ოჯახების 3 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით ბინის ქირით უზრუნველყოფის ვალდებულება აიღო. ვადის ამოწურვის შემდგომ, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფამდე, ბინის ქირის თანხის გადახდის გაგრძელებაზე.

გამოსახლების პროცესში ერთ-ერთი დევნილის ბინის მესაკუთრეს ეშინოდა რომ აღნიშნულ ოჯახს დევნილთა სამინისტრო არ ჩაურიცხავდა ქირის ფულს. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დაარწმუნეს ბინის მეპატრონე, რომ სამინისტრო დევნილს 3 თვის განმავლობაში ჩაურიცხავდა ბინის ქირას. შედეგად, მესაკუთრემ დევნილ ოჯახს ბინა მიაქირავა.

7.3. გალის რაიონის მაცხოვრებელს ოპერაციას დაუფინანსებენ

სახალხო დამცველის შუამდგომლობით, გალის რაიონის მკვიდრ ვ.რ-ს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სრულად დაუფინანსებს ოპერაციის ხარჯს. გადაწყვეტილება ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ 8 დეკემბრის სხდომაზე მიიღო.

ვ.რ.-მ სახალხო დამცველის აპარატს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო მიმართა და ჯანდაცვის მომსახურების საკითხში დახმარება თხოვა.

7.4. მსჯავრდებულის შვილები მინდობით აღზრდაში ჩაერთნენ

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა ბათუმის სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების მსჯავრდებულმა ო.ბ.—მ. განმცხადებელს ორი არასრულწლოვანი შვილი ჰყავს რომლებზეც, მისი დაკავების შემდეგ, არავინ ზრუნავდა. მშობელი ბავშვებზე ზრუნვის ადეკვატური ალტერნატიული ფორმის გამოყენებას ითხოვდა.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიმართვის საფუძველზე, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურმა მუშაკმა ბავშვები მოინახულა და მათზე მათი მინდობით აღზრდაში გადაცემაზე დაიწყო მუშაობა.

15 დეკემბერს სახალხო დამცველს ოფიციალურად შეატყობინეს, რომ მსჯავრდებულის შვილები განათავსეს ერთ—ერთ ოჯახში, სადაც დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობებია. მინდობითმა მშობლებმა ბავშვებს შეუძინეს საჭირო პირადი ნივთები, სასწავლო ინვენტარი და სხვა აუცილებელი საგნები. ამ ეტაპზე ბავშვების მდგომარეობა ბავშვის ინტერესებს აკმაყოფილებს.

7.5. არასრულწლოვანი სკოლას დაუბრუნდა

სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ვაჟა—ფშაველას გამზირზე მყოფი 13—14 წლის არასრულწლოვანის შესახებ, რომელიც ქუჩაში ათევდა ღამეს, იყო აგრესიული, უკონტაქტო და არაჯანსაღად გამოიყურებოდა.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა არასრულწლოვანის საცხოვრებელ მისამართს მიაგნეს და გაარკვიეს, რომ იგი სკოლაში ბულინგის მსხვერპლი იყო.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა ძალისხმევით, ბავშვთან მუშაობა დაიწყო მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ფსიქოლოგმა. შედეგად, ბავშვი ჩაერთო საგანმანათლებლო პროცესში, რაზეც თავიდან კატეგორიულ უარს აცხადებდა. პარალელურად მას აღუდგა მოსწავლის სტატუსი.

22 დეკემბერის მონაცემებით არასრულწლოვანი ცხოვრობს თავის სახლში და მისი ქუჩაში ყოფნის ფაქტი აღარ დაფიქსირებულა.

7.6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარის ონარიის დასახლების რეაბილიტაციისთვის თანხა გამოიყო

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას გაეთვალისწინებინა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარის, ონარიის თემში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალური პრობლემები და მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში გაეწია მოსახლეობისათვის ადეკვატური დახმარება.

29 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სახალხო დამცველს შეატყობინეს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015-2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ჭითაწყარში, ონარიის დასახლებაში სახლების რეაბილიტაცია, ხოლო 2015 წელს 200 000 ლარი დაიხარჯება ონარიის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის.

8. შეხვედრები და სხვა სიახლეები

8.1. შეხვედრა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის წევრებთან

1 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) წევრებს შეხვდა. შეხვედრის მიმდინარეობისას საუბარი შეეხო თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას.

საუბრის ერთ-ერთ მთავარ თემას სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა წარმოადგენდა. სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების გამოძიების არაეფექტიანობაზე, დაუსჯელობასთან ბრძოლის პრობლემასა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა.

8.2. მრგვალი მაგიდა შრომითი დისკრიმინაციის აღმოფხვრის სამართლებრივ გზებთან დაკავშირებით

2 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ფრიდრიხ ებერტის ფონდთან ერთად გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „შრომითი დისკრიმინაციის აღმოფხვრის სამართლებრივი გზები“, რომელზეც შრომითი უფლებების დაცვისა და შრომითი დისკრიმინაციის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა განიხილეს.

ღონისძიებაზე სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის აუცილებლობაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაშიც კი ერთეული შემთხვევები გვაქვს, როცა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ხდება.

ფრიდრიჰ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში ია თიკანაძემ შრომითი ურთიერთობებში დისკრიმინაციის საკითხებზე ისაუბრა; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა გიორგი გოცირიძემ დისკრიმინაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები მიმოიხილა; შრომით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ თემურ თოდრიამ წარმოადგინა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ღონისძიებაზე თანასწორობის დამკვიდრების უზრუნველყოფის საქმეში სახალხო დამცველის როლი განიხილეს; საჩივრის შეტანის პირობებსა და კრიტერიუმებზე; განიხილეს ქალთა შრომითი უფლებების მიმართულებით სახალხო დამცველის პრაქტიკა, დისკრიმინაციის ფაქტები წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, თანაბარი ღირებულების, შრომის თანაბარი ანაზღაურებისა და კარიერული წინსვლის დაბრკოლებები; დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევები.

8.3. ტრენინგები ბავშვის უფლებებზე

დეკემბრიდან სახალხო დამცველმა მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში ბავშვის უფლებების საკითხებზე ტრენინგები დაიწყო. პირველ ეტაპზე ტრენინგები აღმოსავლეთ საქართველოს 30 მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში ჩატარდება.

სკოლის მოსწავლეთათვის ტრენინგი ეფუძნება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ მოდულს „კომპასიტო“, რომელიც ბავშვებს მათი შემეცნებითი შესაძლებლობების შესატყვისი მეთოდით აცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად პრინციპებს. გარდა ამისა, მოდული შეიცავს გონებრივ და ფიზიკურ სავარჯიშოებსა და სახალისო ამოცანებს, რაც ხელს უწყობს ბავშვების ჩართულობას ტრენინგის მიმდინარეობაში.

ბავშვების ტრენინგებით დაინტერესება და ჩართულობა ძალიან მაღალია.

8.4. შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებთან

4 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძე, სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი ნათია კაციტაძე და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ გუნდის ხელმძღვანელი თამარ ხიდაშელი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში არსებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წინაშე მდგარი გამოწვევები, გახშირებული ქალთა მკვლელობები და ძალადობის ფაქტები; ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების სამინისტროს მიმართ სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები და წინადადებები. დადებითად შეაფასეს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედება.

სახალხო დამცველის მოადგილემ ხაზი გაუსვა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნისა და სახალხო დამცველის აპარატის ეროვნული პრევენციის მექანიზმის წევრებისთვის ვიდეო და ფოტო გადაღების უფლების მინიჭების აუცილებლობას.

8.5. სახალხო დამცველი თანასწორობის სტრუქტურების ევროპული გაერთიანების წევრი გახდა დამკვირვებლის სტატუსით

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა მაკა გიოშვილმა **4 დეკემბერს** დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღო ბრიუსელში გამართულ თანასწორობის სტრუქტურების ევროპული გაერთიანების (EQUINET) წლიურ გენერალურ შეხვედრაში.

შეხვედრაზე ისაუბრეს გაერთიანების სტრატეგიულ გეგმაზე, უახლეს ევროპულ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და მისი იმპლემენტაციის გზებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მნიშვნელოვან საქმეებზე მოსაზრებების წარდგენაზე სასამართლოს მეგობრის სახით. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გაერთიანების სრულუფლებიან წევრობის პერსპექტივებს.

ქსელის მიზანია სტრატეგიული უნარის და ადამიანური რესურსების პროფესიული გაძლიერება, თანასწორობის სხვადასხვა ორგანოების წარმატებული პრაქტიკის გამოკვეთა, შესწავლა და გაზიარება, ევროპის დონეზე თანასწორი მოპყრობის კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

8.6. სახალხო დამცველის შეხვედრები ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის კომიტეტებში

5 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ბერლინში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის საკოორდინაციო და ფინანსური კომიტეტების შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა.

კომიტეტების შეხვედრებზე განიხილეს ევროპის რეგიონში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ინსტიტუტების ხელშეწყობა „A“ სტატუსით აკრედიტაციის წარმატებით გავლაში, ევროპული ქსელის 2014 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის რეგიონისთვის დამახასიათებელი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები, ქსელის 2014 წლის საწევრო გადასახადები და 2015 წლის ბიუჯეტი.

შეხვედრებს ასევე დაესწრნენ დანიის, საფრანგეთის, შოტლანდიის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლები.

საქართველოს სახალხო დამცველი 2013 წლიდან არის ევროპის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის საკოორდინაციო და ფინანსთა კომიტეტების წევრი, რაც კიდევ უფრო მეტ საშუალებას მისცემს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, გაატაროს ეფექტური ღონისძიებები ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად და ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დანერგვას.

8.7. შეხვედრა კარდინალ კურტ კოხთან

15 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრსა და რელიგიათა საბჭოს საქართველოში ვიზიტით მყოფი წმინდა საყდრის ქრისტიანთა ერთიანობის ხელშემწყობი კომისიის პრეზიდენტი კარდინალ კურტ კოხი შეხვდა.

შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოში არსებულ ქრისტიანულ კონფესიებს შორის დიალოგის განვითარებასა და გაღრმავებაზე, ასევე ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობაზე.

8.8. ვიქტორინა 2014 – „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“

16 დეკემბერს ბათუმში სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ვიქტორინა „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“. უკვე ტრადიციად ქცეული ვიქტორინის მიზანია სკოლის მოსწავლეთა შორის საქართველოს რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

ვიქტორინა წელს უკვე მეხუთედ ჩატარდა, თუმცა პირველად დასავლეთ საქართველოში. ამჯერად ერთმანეთს 5 გუნდი შეეჯიბრა: „საქართველოს გაეროს ასოციაციის“ ბათუმის, ქუთაისის, ოზურგეთის და ზუგდიდის ახალგაზრდული კლუბები, ასევე ქობულეთის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი. წლევანდელ წელს გამარჯვებული „საქართველოს გაეროს ასოციაციის“ ქუთაისის ახალგაზრდული კლუბი გახდა.

ვიქტორინა ჩატარდა აშშ—ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ მხარდაჭერით.

8.9. შეხვედრა უკრაინულ დელეგაციასთან

17 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს შავი ზღვის სამშვიდობო ქსელის სამოქალაქო საექსპერტო საბჭოს წევრთა უკრაინული დელეგაცია ესტუმრა. ვიზიტის მიზანი იყო სახალხო დამცველის გამოცდილების გაზიარებას იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების სფეროში, ასევე სახალხო დამცველის ჩართულობას და საქმიანობას ამ მიმართულებით.

შეხვედრაზე ისაუბრეს გადაადგილების თავისუფლების, დევნილთა განსახლება/ინტეგრაციის და

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ დევნილთა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე.

8.10. კონკურსი – „ჟურნალისტები ქალთა უფლებებისთვის“

25 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „ჟურნალისტები ქალთა უფლებებისთვის“ კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა.

ჟიურის გადაწყვეტილებით I ადგილი წილად ხვდა რადიო თავისუფლების ჟურნალისტს ეკა ქევანიშვილს სტატიისათვის „ძალადობა, როგორც კულტურის ნაწილი“; II ადგილზე გავიდა ია მერკვილაძე ბლოგისთვის „უფულოები და უოთახოები“ — ნეტგაზეთი და III ადგილი ჟურნალ ლიბერალის ჟურნალისტებმა სოფო აფციაურმა და თათია ხალიანმა მიიღეს სტატიისთვის „ქალები ძალადობის უწყვეტ ციკლში“.

კონკურსის მიზნები იყო ქართულ მედიაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება; გენდერული პრობლემების გასაშუქებლად ჟურნალისტთა წახალისება; გენდერულ საკითხებზე სიუჟეტის მომზადებისას/წერისას ეთიკური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა.

ღონისძიება ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით გაიმართა.

8.11. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები დედაქალაქის მერს შეხვდნენ

26 დეკემბერს სახალხო დამცველის ინიციატივით, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები თბილისის მერს დავით ნარმანიას შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი იყო დედაქალაქში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით დიალოგის გაგრძელება.

შეხვედრაზე განიხილეს ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის, მერიასა და მუნიციპალიტეტებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფის, დასაქმების და სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობა. ასევე, ისაუბრეს მერიის კულტურულ ღონისძიებებში ეროვნული უმცირესობების აქტიურ მონაწილეობასა და სომხური და აზერბაიჯანული თეატრების საკითხზეც.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა ერთ-ერთ მოთხოვნად წამოაყენეს „ეროვნულ უმცირესობათა სახლის“ შექმნისა და მსოფლიოს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმოშობით თბილისელი ეროვნული უმცირესობების მემორიალური დაფების გახსნის საკითხი. სახალხო დამცველმა წამოაყენა ინიციატივა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საპატივსაცემოდ თბილისში მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით.

მხარეები სამომავლო შეხვედრაზე შეთანხმდნენ. ამასთან, გადაწყდა, თბილისის მერთან შეიქმნას ეროვნული უმცირესობების სამუშაო ჯგუფი.

9. ღირსშესანიშნავი თარიღები

9.1. სახალხო დამცველის მიმართვა შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

3 დეკემბერს მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს მათი უფლებების, თანასწორობისა და ღირსების პატივსაცემად. ამ დღის უმნიშვნელოვანესი დანიშნულება საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების გაზრდა, სტიგმისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა, თანაბარი შესაძლებლობების, ინკლუზიური საზოგადოების თემის პოპულარიზაციაა.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საზოგადოებას, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სახელმწიფოს, გაერთიანდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული გამოწვევების დასაძლევად, შექმნან მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადამიანის უფლებების მიდგომით მოტივირებული სახელწიფო პოლიტიკა და მოახდინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მეინსტრიმიზაცია, როგორც ბიუჯეტირებისას, ისე პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას.

9.2. საქართველოს სახალხო დამცველის მილოცვა ხანუქას დღესასწაულთან დაკავშირებით

16 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ებრაელ ხალხს ხანუქას დღესასწაული მიულოცა და საქართველოში მცხოვრებ ებრაულ თემს მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა.

ხანუქას დღეებში ებრაელი ხალხი მტერზე გამარჯვებისა და ტაძრის დამპყრობლისგან გაწმენდასა და დაბრუნებას ზეიმობს. ასევე, იმ სასწაულს აღნიშნავს, როდესაც სოლომონის ტაძარში, მენორაში ერთი დღის სამყოფი ზეთი სასწაულებრივად რვა დღის მანძილზე ანათებდა. ამ სასწაულის აღსანიშნად რვა დღის მანძილზე თითო სანთელი ინთება.

9.3. საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეებსა და პროტესტანტებს ქრისტესშობა მიულოცა

მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიების ნაწილი იესო ქრისტეს შობის დღესასწაულს **25 დეკემბერს** აღნიშნავს. ეს დღე მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქრისტიანული დღესასწაულია და განსაკუთრებული საოჯახო ტრადიციებითაა აღსავსე. მინდა ჩვენს თანამემამულე და საქართველოში მცხოვრებ ყველა ქრისტიანს, ეს დღე მივულოცო და მათ მშვიდობა, კეთილდღეობა და სიხარული ვუსურვო.

10. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

10.1. ევთომ საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა

9 დეკემბერს ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR) ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. მონიტორინგის მისიამ საქართველოს მთავრობის მოწვევით, იმ 14 საქმის სასამართლო პროცესების მონიტორინგი განახორციელა, სადაც ერთი ან მეტი ბრალდებული პირის მიმართ შესაძლებელი იყო „თანამდებობის პირის“ დეფინიციის გამოყენება.

დოკუმენტი სისტემური ხასიათის მქონე სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს მოიცავს.

ანგარიშში მითითებულია, რომ მოსამართლეთა შერჩევის და დანიშვნის არსებულმა პრაქტიკამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს მოსამართლეთა ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვა, მათ შორის იგულისხმება მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდი. დაფიქსირდა მოსამართლეთა გადაყვანა ერთი სასამართლოდან მეორეში და მოსამართლეთა შორის საქმის განაწილება გაუმჭვირვალედ მიმდინარეობდა, რაც წინააღმდეგობაში მოდის სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპთან. ამავდროულად, მოსამართლეთა შეცვლა საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპებზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხდებოდა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით ოფიციალური პირების კომენტარები სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესზე მათი კონტროლისა თუ გავლენის არსებობაზე მიანიშნებდა, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოების მიერ პროკურატურის, როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური უწყების აღქმაზე. ანგარიშში მითითებულია მთავარი პროკურორების ხშირი ცვლა და ბოლო ორი მთავარი პროკურორის დანიშვნის გაუმჭვირვალე პროცესი. სასამართლო სისტემისადმი პატივისცემის ნაკლებობაზე მიანიშნებდა სასამართლო პროცესებზე წესრიგის დაუცველობის მრავალი მაგალითი.

არაერთი პრობლემა დაფიქსირდა საქმის საჯარო განხილვის უფლების რეალიზაციის კუთხით (სხდომის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, სასამართლო დარბაზის მცირე ზომა და ა.შ.); ასევე, სახელმწიფო საიდუმლოების ან საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული მოტივით სხდომათა დახურვის წესის არათანმიმდევრული გამოყენება; გამოიკვეთა სასამართლო სხდომებზე ჩანაწერის გაკეთების უფლების შეზღუდვის ბუნდოვანი და არათანმიმდევრული პრაქტიკაც.

ანგარიშში შეშფოთებაა გამოხატული უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევის ტენდენციაზე, ასევე, უფლებების შესახებ არასაკმარისი ინფორმირების, უარის მიუხედავად ბრალდებულისთვის ჩვენების მიცემის მოთხოვნისა და ბრალდებულთა მოწმის სტატუსით გამოძახების მაგალითებთან დაკავშირებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „დაკვირვების შედეგად დაფიქსირებული შემთხვევები და ადვოკატის მხრიდან მათზე განუხორციელებელი რეაგირება პროცესის მონაწილეების მიერ ამ ფუნდამენტური პრინციპების გაუცნობიერებლობას წარმოაჩენდა“.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებელი გამოყენების და გაგრძელების პრაქტიკაც, რაც, ანგარიშის თანახმად, ეწინააღმდეგება თავისუფლების უფლებას და ამავე დროს, აღვივებს საზოგადოების უნდობლობას მართლმსაჯულების სისტემის მიუკერძოებლობის მიმართ.

გამოვლინდა მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის უფლების დარღვევის პრაქტიკა, ხარვეზები გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებით, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლების შეზღუდვა, სასმართლო განაჩენების დაუსაბუთებლობა, კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების პრობლემა და სხვა.

მონიტორინგის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვებისას გამოვლენილი ხარვეზები შესაძლოა, არ არღვევდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მაგრამ „ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზებისა და ზოგადად პრობლემური სასამართლო პრაქტიკის კომბინაცია

საფრთხეს უქმნიდა სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულ დაცვას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“.

11. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

11.1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსი

24 დეკემბერს სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მონაწილეობის მისაღებად 34 ექსპერტის ვაკანსია გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მიღება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოქმედ ექსპერტებსაც შეუძლიათ, რომელთაც უფლებამოსილება ახალი შემადგენლობის შერჩევისთანავე შეუწყდებათ.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტრენინგს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტრუქტურის, მანდატისა და მუშაობის მეთოდოლოგიის შესახებ, ასევე გაეცნობიან მონიტორინგის როლსა და ფუნქციებს, ექსპერტების ანგარიშვალდებულების ფორმას, ქცევის წესებსა და პასუხიმგებლობის საკითხებს. შერჩეული კანდიდატები გააფორმებენ ხელშეკრულებას სახალხო დამცველის აპარატთან, სადაც განსაზღვრული იქნება მხარეთა შესაბამისი უფლება-მოვალეობები და ქცევის კოდექსის დაცვის ვალდებულება.

11.2. მომართვიანობის სტატისტიკა

დეკემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 657 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 531 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 2
- მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 305
- რეგიონული სამმართველო – 137
- ბავშვთა ცენტრი – 39
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 12
- შშმ პირთა ცენტრი – 19
- ანალიტიკური დეპარტამენტი – 7
- თანასწორობის დეპარტამენტი – 10



12. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე